პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ბიულეტენი

ფასი 3 კაპ.

პარასკევი, 14 მაისი 1926 წ.

წლიური მეექვსე

რედაქციის მისამართი: ტფილისი, ევანგულოვის ქ. ელსმენი 2—24.

—

განცხადების ფასი პირველ გვერდ. 80 კ. სტრ. 4 გვ. 40 კ.

104 (1099) | 1 და 2 ქართული მუშათა-დელეგატების ინტერნაციონალის ყოველდღიური გაზეთი | 104 (1099)

... ROGORI SRULDEBA INGLISISA MUSHATA KLASIS GAPICVEBI?

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში, ჩვენ ვლაპარაკობდით ... ზე შესახებ, რომ პროფკავშირთა საბჭომ გამოუშვა განცხადება, სადაც იგი აუწყებდა მთავრობას, რომ მიმდინარე გაფიცვები არ ატარებს რევოლუციონურ ხასიათს და მიზნსო.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ ... ლაპარაკობდით იმას, რომ ასეთი განცხადება მომასწავებელია ... ზე, რომ გაფიცვები არ დაფარგვინდება სოციალური გადატრიალებით, ამ გაფიცულთა ... ლდების ბურჟუაზიული სუ... ლისკვეთების წყალობით-თქო.

და მართლაც, როგორც ამას ... დღევანდელი დეპეშები გვაცნობენ, გაფიცვები არ დასრულებულა, არც სოციალისტური ... ვოლუციით და არც ბურჟუაზიული წყობილების დამარ... ებით. პირიქით. გენერალურმა საბჭომ განაცხადა, რომ ... ფიცვები უკვე მოხსნილია და ... ე, რომ ინგლისის პროლეტარიატი დათმობის გზას უნ... ა დადგეს.

„მხოლოდ მანამ სანამ ჯერ ... ედეგ სამთომადნო მუშებთან ... ვლა არ განახლდება მოლაპარაკება და არ იქნება შემუ... ავებული სამთანადო მოსარ... ებელი პირობები, მანამ ეს ... ამთომადნო მუშები კვლავ ... ფიცვას განგრძნობენო“-გვ... ენება სამთომადნო მუშების ... ფედერაციის მდივანი მოქალაქე ... კუკი.

როგორც ხედავთ, გაფიცვები დამარცხებით დასრულდება.

ეს დამარცხება ჩვენ იმ გაგებით გვესმის, რომ გაფიცულებმა თავისი ბელადების ხელმძღვანელობით არ გამოვიდნენ აშკარათ ბრძოლის ველზე და ამგვარათ კვლავ არჩიეს ბურჟუაზიის პატრონობის ულელქვეშ დარჩენა და მაშასადამე კვლავ მონობა.

რასაკვირველია მთავარი დანაშაული იმის შესახებ, რომ ეს გაფიცვები არ გადაიქცა სოციალისტურ რევოლუციით, დიახ, მთავარი დანაშაული ამ საქმეში მიუძღვის თვით გაფიცულთა ბელადებს, რომელებიც თავიდან ბოლომდი გადაწყვეტილი არიან ბურჟუაზიული ფსიქოლოგიით და სულისკვეთებით.

მათი დამყაყებული აზროვნებისათვის უჩვეულო და მიუღებელი აზრი, სოციალისტური რევოლუციის მოსდენისა.

მაგრამ ისტორია არ დაიგვიანებს.

ინგლისის მუშათა კლასი, ბოლოს და ბოლოს გამოაშკარავებს თავის ბელადების გამყიდველ პოლიტიკას და გვჯერა, რომ ამისთვის სასტიკ პასუხს მოსთხოვს მათ.

„ტყის-დღე“.

კვირას, 16 მაისს, საქართველოში იმართება „ტყის დღე“. ეს ისტორიული დღე ჩვენ საბუეო მეურნეობაში, ასეთი „დღეები“ გაიმართება შემდეგში ყოველ წლიურად.

რას ემსახურება ეს „დღე“ და რა მნიშვნელობა აქვს მას? ... ამ „დღეს“ ჩვენ ტყეზე უნდა ... ეზრუნოთო, ის გავიცნოთ, შეეისწავლოთო, გავიგოთ მისი ბერ... ვარამი, გაპირვებაში მივეშველოთ, რისი მოცემაც შეუძლია ჩვენ მისგან ვისარგებლოთ. ... ონიერათ მოვეპყროთ, ისიც შევინახოთ და ჩვენც არ მოვისპოთ საცხოვრებელი წყარო.

ამდენ ხანს ჩვენ ქვეყანაში ტყე ბევრი იყო, ხალი—ცოტა, ყველა სარგებლობდა რამდენიც უნდოდა, მაგრამ ტყე ამით არ ისპობოდა. ბოლო ხანებში ხალხის გამრავლებით იკლო ტყის არემ, მოთხოვნილება ტყისადმი გაძლიერდა—ტყე თან და თან დასუსტდა და ან სულ ისპობა, და ეს მოვლენა კი დიდ უბედურებას უქადის ჩვენ ქვეყანას. ყველამ ვიცით თუ რამდენი ხე-ტყის მასალა სჭირდება ჩვენი სოფლის და ქალაქის მოსახლეობას, ტყე რომ არ იყოს ჩვენ გლეხს არსებობა არ შეუძლია, მაგრამ ამას გარდა საქართველო მთა გორიანი ადგილია. ტყე ძირებით იჭერს ნიადაგს ფერდობზე, და სადაც ის მოისპო მთები ჩამოირეცხა და დაინგრა-გაჩნდნენ ნიადაგრები, მეწყერები, ქარი და გვალვა გაძლიერდა და დღეს უკვე აუარებელი ზარალი აქვს ამიდგან ჩვენ ქვეყანას. ისეც კარგათ იცის ყველამ, განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობამ. ყველას აქვს ცოტ-ცოტა ზარალი და მომავალში ბევრათ მეტი მოგველის. გავიხსენოთ თუ გნებავთ, რომ შარშან გაზაფხულზე 50 მოსახლე რაჭაში და 10 ლეჩხუმში ჩაიტანა მეწყერმა უფსკრულში. წელს აფხაზეთში ჩამოინგრა თთა დაოცი კილომეტრის მანძილზე დაკეტა გზა და სხვა ზარალიც აუარებელია. ნიადგრების, მეწყერების, ქარის, გვალვის და სხვა ასეთების მოყენებული წარილმანი ზარალიც ძლიერ ბევრი ამის ჩვენში და ყველა ამ ეებიდგან, როგორც ვსთქვით, ტყე გვიცავდა და გვიცავს დღესაც, სადაც ჯერ კიდევ არ მომსპარა.

ამასთან ტყეს დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ჯანმრთელობისათვის — აუარებელი ხალხი მილიტვის ზაფხულობით მთაში, ტყეში აგარაკებზე განკურნებისათვის. სილამაზის მხრითაც—აბა შეადარეთ მცენარით დაფარული ადგილები—მოტიტვლებულ გაბრიოკებულ ფერდობს—უკანასკნელს ისს გარდა, რომ დიდი ზარალი მოაქვს ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის, საზარელი სანახავიც არის და მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზე. აი მოკლეთ თუ რა მნიშვნელობა აქვს ტყეს და რატომ უნდა შევინაზღაროთ ის, მოვაშენოთ მოუაროთ და გონიერათ ვისარგებლოთ. ცხადია, ტყეთ ჩვენ უნდ- ვისარგებლოთ ყოველთვის, მაგრამ ისე, რომ ის სულ არ მოვსპოთ, მოვსჭრათ და მოვაკლოთ იმდენი, რომ ტყემ შესძლოს ჭრილობის ატანა, გამოსწორდეს და შემდეგ კიდევ მასალა დ გვიმზადოს.

„ტყის-დღის“ კამპანიის ჩატარების დროს აგრეთვე უნდა ვიზრუნოთ სასეირნო ტ დასასვენებელ ბაღებზე, პარკებზე, ქუჩაში დარგულ ხეებზე და სხვა. სადაც არის იმას მოუაროთ და სადაც არ არის იქ გავაშენოთ. სოფლებში და ქალაქებში ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებების ეზოები შემოვდომოთ, შემოვთხაროთ და შიგ ხეები გავაშენოთ—ეს ლამაზიც არის და ჯანმრთელობისათვის სასარგებლოც.

მეტყევე ნ. ფირცხალაიშვილი.

ახალი რადიო ამბები

საყოველთაო გაფიცვა ინგლისში შესწყდა.

გაფიცვას განაგრძობენ მხოლოდ სამთა-მადნო მუშები.

დღეს ლონდონში გაიმართება სამთა-მადნო მუშების კონფერენცია, რომელიც გადასწყვეტს გაფიცვის საკითხს.

საყოველთაო მუშათა გაფიცვა შეწყდა

რეიტერის საააგენტოს ცნობით ინგლისის პროფკავშირთა მთავარ საბჭომ მოხსნა საყოველთაო გაფიცვა.

გამწყვეტელი საკითხი ნახშირის მადროოებში მაინც გადაუჭრელი რჩება და სამთო-მადნო მუშები არ დაუბრუნდებიან სამუშაოს, სანამ არ იქნება მოგვარებული სამუშაო ხელფასის საკითხი.

რამ შეუწყო ხელი გაფიცვის მოხსნას

სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობით გაფიცვაზე გავლენა მოახდინა უზენაეს სასამართლოს დადგენილებამ, რომელმაც გამოაცხადა გაფიცვა უკანონოდ. ამ გარემოებამ მთავარ საბჭოს ბევრი წევრი შეაფიქრა, რომ მთავრობა ჩამოართმევს პროფკავშირებს ფონდს და ხელს შეუშლის გაფიცულებზე დახმარების მიცემასო.

კუპის განცხადება

სამთა-მადნო მუშები არ განაახლებენ მუშაობას

მთავარ საბჭოს განცხადების შემდეგ გაფიცვის შეწყვეტის შესახებ, სამთა-მადნო მუშათა კავშირის მდივანმა კუპამ განაცხადა:

„სამთა-მადნო მუშათა გაერთიანების აღმასკომმა დაადგინა უცვლელ იქნას სამთა-მადნო მუშების გადაწყვეტილება და დაუგზავნა ყველა ოლქებს შემდეგი დეპეშა:

„სამთო-მადნო მუშებმა არ უნდა განაახლონ მუშაობა, სანამ არ გადასწყვეტს სამთო-მადნო მუშათა დელეგატების ეროვნული კონფერენცია, რომელიც მოწვეულია პარასკევს ლონდონში.

გთხოვთ გამოგზავნოთ დელეგატები.

მდივანი ძუკი“

უმცირესობის მოძრაობის ცირკულიარი

ინგლისის პროფკავშირთა უმცირესობის მოძრაობამ დაგზავნა ცირკულიარი, რომლითაც აფრთხილებს ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომ მათ მოელის „შავი პარასკევის“ მაგალითი, ე. ი. შეიძლება სამთა-მადნო მუშები მარტო დარჩენ ბრძოლაში.

„შავი პარასკევი“ ინგლისის პროფმოძრაობაში ეწოდება 1921 წლის მაგალითის მუშათა გაფიცვების დროს, როცა რკინისგზელებმა და ტრანსპორტის მუშებმა გადამჭრელ დროს უღალატეს საერთო საქმეს და მხარი არ დაუჭირეს სამთა მადნო მუშათა გაფიცვას.

ცირკულიარი მოუწოდებს გაფიცულებსა და მოქმედების კომიტეტებს გამოიტანონ რეზოლიუციები ყოველგვარ დათმობის წინააღმდეგ და ბრძოლის გაგრძელების სასარგებლოდ.

შიმშილობა ჟილიავის ციხეში

ჟილიავის ციხეში (რუმინეთში) შიმშილობა გამოაცხადა 11 პოლიტიკურ პატიმარმა.

შიმშილობით გაფიცვა გამოიწვია 1-ლი მაისის დღესასწაულის აკრძალვამ.

ბავშვებსაც კი არ ზოგავენ

პასაიკის ერთ მსხვილ საფეიქრო რაიონში (ამერიკაში) პოლიცია თავს დაესხა ბავშთა დიდ ჯგუფს, რომელიც იცავდა ფაბრიკებს და არ უშვებდა სამუშაოდ შტრეიკბეხერებს *) პოლიციამ სასტიკად სცემა ბავშებს. ბავშები 6—10 წლიანები იყვნენ.

მეორე დღეს, პოლიციის მხეცური მოქმედების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გაიმართა დიდი დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობდა 1.600 ბავში. ბავშთა დემონსტრაციის წინააღმდეგ გამოვიდა ცხენოსან პოლიციის რაზმები რკინის ჯოხებით. მძიმედ დაიჭრა ბევრი და ბევრიც დაპატიმრეს.

პასაიკის ყველა ბავშებმა გამოაცხადეს სასკოლო გაფიცვა.

*) შტრეიკბეხერი—გაფიცვის ხელის შემშლელი, ბურჟუაზიის მიერ გაფიცულთა ადგილზე დაქირავებული.

საბჭოთა კავშირში

მთა-მადნის მუშათა საკავშირო ყრილობა

ლოზოვსკი ინგლისის მუშათა გაფიცვის შესახებ

12 მაისს გაიხსნა მთა-მადნის მუშათა სრულიად საკავშირო მე-5 ყრილობა.

ინგლისის გაფიცვის მომდინარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ლოზოვსკიმ.

„ინგლისის საყოველთაო გაფიცვა—დაიწყო მან—შეწყდა.

გაფიცვას განაგრძობენ მხოლოდ მთა-მადნის მუშები. ეს აძნელებს საქმეს. რასაც საყოველთაო გაფიცვა მიიღწევდა რამოდენიმე დღეში, იმას მოუნდება მარტო მთა-მადნის მუშათა გაფიცვა რამოდენიმე თვეობით.

შეწყდა გაფიცვა, მაგრამ მისი გაკვეთილი ტყვილა არ ჩაივლის. მუშები დაუბრუნდებიან დაზგებს სიძულვილით გაფიცვის ჩამშლელთა მიმართ. რევოლიუციონურ მუშათა მოძრაობა გაფიცვის მეოხებით მოიგებს არა მარტო ინგლისში, არამედ სხვა ქვეყნებშიაც.“

მოსკოვის წყალდიდობის შედეგები

წყალდიდობის წინააღმდეგ მებრძოლ ცენტრ. კომისიამ ჯამი გაუკეთა მდინარე მოსკოვზე მომხდარ წყალდიდობით გამოწვეულ ზარალს.

ზარალი დაახლოებით უდრის ერთ მილიონ მანეთს. კომისია დაიშალა.

უცხოელ მეზღვაურთა გაფიცვა

გაიფიცა ოდესაში მდგომ იტალიის გემის მეზღვაურები. გაფიცულები მოითხოვენ კვების გაუმჯობესებასა „და ჯამგირის მომატებას 20 პროცენტით.

განცხადება

ამა წლის 15 მაისიდან მე-2 ქართულ მსროლელ დივიზიაში დაიწყება 1903 წელში დაბადებულ მოკავალქეთა შეკრება ოკ თვე ნახევრიან ყაზარმული მოამზადებისთვის. ამასთან დაკავშირებით, როგორც კერძო პირთაგან, ისე სხვა და სხვა დაწესებულებათა და საწარმოთაგან, შემოდის შუამდგომლობა აღნიშნულ მომზადებისაგან გათავისუფლების შესახებ.

ცხადდება ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებათა, საწარმოთა და ოგრეთვე დინტერესებულ პირთა საყურადღებოდ, რომ არსებულ კანონ-დებულებით, კერძოდ, კანონით სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ, არავითარი გათავისუფლება ყაზარმულ მომზადებისაგან გათავალისწინებული არაა; ამიტომ შუამდგომლობა ამ მხრივ არ იქნება განხილული დივიზიის სარდლობის მიერ, ხოლო ვინც გვერდს აუხვევს სავალდებულო გამოცხადებას და აბრკოლებს—ვინც ასეთებს დაფარავს, მიუხედავად მათი თანამდებობისა, მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში.

მე-2 ქართულ მსროლელ დივიზიის უფროსი და სამხედრო კომისარი აღნიშვილი.

საქართველოში.

ბარიტის დამუშავება.

სამთო ქიმიური კომბინატი შეუდგა დერჩინის რაიონში (ლეჩხუმის მაზრაში) ბარიტის ჩანარეცის დამუშავებას (ბარიტი ნივთიერებაა, რომლისგანაც ამზადებენ ბურუშეულობას). სამთო ძიება სწარმოებს აგრეთვე ჩაშლეთის რაიონში (იმავე მაზრაში).

ავტომობილთა მიმოსვლა.

დაწესებულია რეგულიარული მიმოსვლა ავტომობილით ქუთაისს, ონსა და ბაღდადს შორის.

ქუთაისსა და ონს შორის ავტომობილით მიმოსვლა ყოველდღიურად სწარმოებს.

ღვინის გატანა

ქუთაისის ღვინის სარდაფ მარანმა გაგზავნა როსტოვში საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის განყოფილების სახელზე 2.000 ვედრო ღვინო.

ხიდის აგება

ლიუქსემბურგის მაზრაში, სოფელ ბაშკიჩეტში დამთავრდა დიდი ხიდი. ხიდი დიდ შედეგთან აძლევს მეჯოგეების მოძრაობას. ხიდი აგებულ იქნა ადმასკომის ხარჯზე.

აგურის ახალი ქარხანა

ლიუქსემბურგის მაზრის აღმასკომმა გახსნა აგურის ქარხანა. ქარხანა ამზადებს თვიურად 40 ათას აგურს.

როგორ უნდა უვლიდე ცხენს გაზაფხულზე

საბანაკო სწავლება ცხენოსნისთვის რთულდება იმ გარემოებით, რომ დროს დიდი ნაწილი მან უნდა გაატაროს მინდვრად. ამასთან ბანაკად იწარმოებს პრაქტიკული საბრძოლო მუშაობა, მანევრები და ლაშქრობა, ყველაფერი ეს ცხენსაც გაურთულებს მუშაობას. ყველა ცხენოსანმა იცის, რომ ეს გართულებული მუშაობა მოითხოვს ცხენის კარგად-მოვლა პატრონობას. საბანაკო სწავლება ხომ ბრძოლა არაა, ის მხოლოდ სწავლებაა. მაშასადამე, აქ საშუალებაც მეტი გვაქვს მოუაროთ ცხენს ისე, როგორც წესი და რიგია.

თუ როგორია ცხენის მოვლის წესი არმიაში,—ეს ყველა ცხენოსნისთვის ცხადია.

ცხენს თავის დროზე უნდა მოვლა, ჭმევა და სმევა.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს წმენდა. თუ რომ საბრძოლო გარემოებაში მეორარს მართლაც არ აქვს შესაძლებლობა ცხენი გასწმინდოს, საბანაკო პირობებში ამ „შეუძლებლობა“-ს არ უნდა ჰქონდეს ადგილი. ცხენი გაწმენდილ უნდა იქნას დღეში ორხელ, როგორც წესი და რიგია.

ლაშქრული მეცადინეობის შემდეგ შესვენებისას, ცხენს აუცილებლად უნდა მოსწმინდო და დაუზილო ის ადგილები, სადაც მას ეკრა მოკაზმულობა. მოკაზმულობა ყოველთვის სუფთად და წესრიგზე უნდა იქნას შენახული. ჭუჭყი და მოკაზმულობისადმი დაუდევრად მოპყრობა იწვევს ცხენის დაავადებასა და დაშავებას. განსაკუთრებით კარგად უნდა შეჭკაზმო ცხენი ლაშქრული მოძრაობის წინ. ადამიანი მოძრაობის დროს თავითვე გაიმწყრუბს თუ რაიმე უშლის ხელს და „წუწკრიგოდა“. ცხენი კი თვითონ ხომ ვერაფერს გაისწორებს. მაშინაც კი, როცა ყველაფერი წესრიგზეა და ჯარი უკვე დაიძრა, საჭიროა ერთ საათს შიგნით შეჩერდე და გასინჯო მოკაზმულობის მდგომარეობა.

ამასთან ბანაკში რაც შეიძლება ხშირად უნდა აბანავო ცხენები, თუ კი ამის საშუალება იქნება. უმჯობესია ეს ყოველდღიურად ხდებოდეს და ისიც საღამოობით, როცა წყალი შედარებით თბილია. ბანაობის დროს უნდა აცურაო ცხენი. თუ რომ მდინარე პატარაა, მაშინ ხელით უნდა შეასხა წყალი. გაოფლებული, „გაბურეულები“ ცხენი არ უნდა აბანაო.

ცხენს ასეთი მოვლა ბანაკად საშუალებას მისცემს მეორარს არა მარტო წარმატებით ჩაატაროს მეცადინეობა ცხენზე, არამედ გამოწვრთნას და გამომრძმედოს თავისი ცხენი.

ტრაქტორების მუშაობა

ტრაქტორების ერთი ჯგუფით (18 ცალი) სწარმოებს სამამბე მიწის ხვნა მდინარე მტკვრის პირას დემურჩი-ხასანლოს რაიონში (ლიუქსემბურგის მაზრა). მეორე ჯგუფით—12 ტრაქტორის რაოდენობით სწარმოებს მუშაობა აშაგასერაღის რაიონში. მოსახლეობა მეტად დაინტერესებულია მანქანით. ლიუქსემბურგის მოსახლეობამ გამოიწერა ორი ტრაქტორი. ტრაქტორით დესეტინა მიწის დამუშავება ჯდება 14 მანეთი, ხარებით—25—30 მანეთი. მუშაობა, რომელიც პირველად სწარმოებს მაზრაში, დიდ შთაბეჭდილებას ახდენს გლეხობაზე.

ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

პარტიის და კომკავშირის ცხოვრებიდან

4-ე ლეგიონის 9-ე ასეული

7 მაისს შესდგა კომუჯრედის და კომკავშირის უჯრედის გაერთიანებული კრება. დღის წესრიგში იდგა საკითხი: კომუჯრედის წარსული მუშაობის შესახებ. ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა კომუჯრედის მდივანი ამხ. კაპარავა. ამხ. მოხსენებელმა ვრცლად გააშუქა კრების წინაშე ის განვლილი მუშაობა, რომელიც შესასრულა კომუჯრედმა 20 ოქტომბრიდან დღემდი. სხვათა შორის მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო ჩვენი კომკავშირის უჯრედის მუშაობას და აღნიშნა ის აქტიური მუშაობა ჩვენი კომკავშირის უჯრედისა, რომელიც მან გასწია, როგორც უპარტიო, ისე პარტიული წითელ არმიელთა შორის.

გარდა ამისა მომხსენებელმა აღნიშნა ის მჭიდრო კავშირი, რომელიც ქონდა დაპირილი ჩვენი უჯრედს, როგორც ა[illegible] გილობრივ სამოქალაქო პარ[illegible] ორგანიზაციებთან, ისე მცხო[illegible] რებლებთანაც. დამატებით მ[illegible] მხსენებელმა აღნიშნა ის, რ[illegible] კომკავშირის უჯრედი თუ რ[illegible] გორ დამაკმაყოფილებელ მ[illegible] შაობას ეწევა თავის შეფრ[illegible] ქვეშ მყოფ ერთ-ერთი სოფელ[illegible] მოხსენების შემდეგ გაიმართ[illegible] კამათი და კამათში მონაწილ[illegible] ნი აღნიშნავდენ უჯრედებ[illegible] მუშაობის, როგორც დადებ[illegible] თა, ისე უარყოფითი მხარეებ[illegible] და თან მიუთითებდენ იმ ს[illegible] შუალებებზე, რომლის შემწეო[illegible] ბითაც შეიძლება გამოსწორ[illegible] ბული იქნეს უჯრედების მ[illegible] შაობის უარყოფითი მხარეებ[illegible] დასასრულ გამოტანილი იქ[illegible] რეზოლიუცია, სადაც ხაზგას[illegible] მით იყო აღნიშნული უჯრ[illegible] დების დამაკმაყოფილებელი მ[illegible] შაობის ცნობა.

ა. იმერლიშვილი.

ქართ. სამხ. პოლიტ-სკოლა

კომკავშირის ცხოვრება.

10 მაისს შესდგა მორიგი ღია კრება. პირველ საკითხათ იდგ[illegible] საკავშირო ახ. ლ. კომკავშირის მე-7 ყრილობის შესახებ, ამხ. ჩ[illegible] პლინის მოხსენების ირგვლივ, რომელზედაც მოხსენება გააკეთა ამ[illegible] მ. ცქიფურიშვილმა. მან აღნიშნა ჩვენი კავშირის მიღწევები ერთ[illegible] წლის განმავლობაში და მიუთითებდა ყრილობის მიერ ზოგიერ[illegible] მუხლებზე, რომელსაც დღემდის ნაკლები ყურადღება ქონდა მიქცე[illegible] ული. მომხსენებელმა განსაკუთრებით აღნიშნა ლენინგრადის ორგა[illegible] ნიზაციის ოპოზიციონერობა და მისი გამომწვევი მიზეზები.

მომხსენების ირგვლივ გამოტანილ იქნა მოკლე რეზოლიუცია[illegible] სადაც აღნიშნულია რომ ჩვენი სკოლის კომკავშირელები მთლიანად[illegible] ვიწონებთ რა საკავშირო ახ. ლ. კომკავშირის მე-7 ყრილობის მ[illegible] თითებებს და დადგენილებებს, ჩვენ სასტიკ ბრძოლას გამოუცხადე[illegible] ბთ ისეთ ოპოზიციონაურ ნაწილს, რომელებსაც არ სწამთ ჩვენ[illegible] ქვეყანაში სოციალიზმის აშენება და სასულ უტოპენ ლენინიზმს.

მეორე საკითხი იყო მოხსენება პიროს მუშაობის შესახებ[illegible] პიროს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა პიროს მდივანმ[illegible] რომელმაც აღნიშნა თავისი სამი თვის მუშაობა და ყველა სხვა [illegible] სხვა ანგარიშები. მოხსენება პიროს მუშაობის ირგვლივ კრებამ ჩა[illegible] სთვალა დამაკმაყოფილებლად, რის შემდეგ არჩეულ იქნა ახალი ბი[illegible] როს შემადგენლობა.

სულ ერთი კვირის განმავლობაში ჩვენი სკოლა მიდის სამანა[illegible] კოთ მანგლისში. ჩვენ ამ თავითვე ვემზადებით ვინაიდან იქ გვმარ[illegible] თებს დიდი მუშაობის გაწევა სოფლად, ამიტომ უსურვებთ ჩვენს[illegible] ახალ პიროს, რომ ყოველივე ჩვენი ძირითადი ხელმძღვანელობა[illegible] ამ საზაფხულო პერიოდში გადაეტანოს სოფლად მუშაობაში, რ[illegible] თაც ჩვენ შეგვსძლებთ გლეხური ახალგაზრდობის აღზრდა განვითა[illegible] რებას და მათ ჩათრევას ჩვენს კავშირში.

მიხო საწირელი.

უპარტიო წითელ არმიელთა შორის მუშაობა

1 დივიზიის საარტილერიო ლეგიონი

უჯრედები ბატარეებში უდიდეს ყურადღებას აქცევს უპარტიო წ. არმიელთა შორის მუშაობას. ამ დარგში ჩვენს უჯრედს საკმაო მიღწევები აქვს. უპარტიო წ. არმიელის თვალში უჯრედის ავტორიტეტი მაღლა იწევს.

პარტიულის, კომკავშირის წევრის და უპარტიო წითელ არმიელის დაახლოება მრავალ საერთო საქმიანობასთან ერთად ხდება ღია პარტ-კრებებზე, ღია პარტ-კრებებზე ისმება ისეთი საკითხები, რომელიც უპარტიო წითელ არმიელთა მასისათვის საინტერესო და საყურადღებოა, ამიტომ მათი მონაწილეობაც კარგია ღია კრებებზე. უჯრედის ხელმძღვანელობით ყველაზე უფრო აქტიური და მუშაობისათვის გაცნობილი წ. არმიელები ჩაბმულია სხვა და სხვა მუშაობაში.

ბატარეებში თვითმომქმედ ორგანიზაციების უჯრედების წევრებთ და ხელმძღვანელებთ თითქმის ყველა უპარტიო წ. არმიელები ითვლება. ისინ[illegible] ბა მოხსენებებები საერთო კრ[illegible] ბებზე იმ უპარტიო წითელ არ[illegible] მიელების, რომლებიც მუშაო[illegible] ბენ სამნეო კომისიაში, რემ[illegible] დს-ში, კავშირის კომისიაში, [illegible] ავიაქიმის და სხვ. ამ მუშაო[illegible] ბაში უნდა აღინიშნოს ერთ[illegible] ნაკლი, რომელიც საჭიროა [illegible] უჯრედმა გაითვალისწინოს [illegible] შემდეგში მიაქციოს ყურადღ[illegible] ბა. არ ხდება იმ წ. არმიელ[illegible] ბის ცალკე აღრიცხვა, რომ[illegible] ლებიც დაინტერესებულია კომ[illegible] უჯრედის საქმიანობით, ესწრ[illegible] ბა ყველა ღია კომუჯრედის [illegible] კრებებს და ასარულებს მიცე[illegible] ულ დავალებებს. ამ წევრების [illegible] აღრიცხვა და მათზე განსაკუთ[illegible] რებული აღმზრდელობითი მუ[illegible] შაობა, ეამაღლებს წ. არმიელ[illegible] ში აქტიურობას და გახდის [illegible] ღირსეულ მომუშავეთ ბატარეის [illegible] საერთო აღმშენებლობის საქ[illegible] მეში.

ტ. მამალაძე.

მეთაურთა თვითგანვითარების შესახებ

(„წითელ არმიელის“ 1088, 1092, 94 და 96 ნომრებში მოთავსებულ წერილების გამო)

მე არ შევეხები აღნიშნულ წერილების დებულებებს ამ საკითხში, გამოვსთქვამ მხოლოდ ჩემს აზრს. უდაოა ის, რომ ჩვენი მეთაურები საჭიროებენ თავის სამხედრო ცოდნის გაღრმავებას.

ამ მიმართულებით საბჭოთა ხელისუფლების მიერ გადადგმულია სათანადო ნაბიჯები ს. ს. რ. კ. მასშტაბით.

ქართული ლაშქრის მეთაურთა თვით განვითარების საკითხის წამოჭრას განსაკუთრებული მიზეზები აქვს. თუ განვიხილავთ ჩვენ მეთაურთა შეადგენლობას, ის შეგვიძლია დავყოთ სამ კატეგორიად: 1-ლი ძატეგორია—ძველი ჯარის ნორმალიური სკოლა დასრულებულები. მეორე კატეგორია—ძველი ჯარის მოკლევადიან (ოფიცრების დროს) სკოლაში კურს დამთავრებულები და მე-3—საბჭოთა მოკლევადიან, ან ნორმალურ სამხედრო სკოლებში კურს დამთავრებულნი.

ყველა ამ აღნიშნული მეთაურთა კატეგორიები საჭიროებენ თავის სამხედრო ცოდნათა გაღრმავებასა—გაფართოებას.

მეთაურთა ცოდნის გაფართოება და გაღრმავება უნდა მიმართული იყოს და სწარმოებდეს ორი მიმართულებით:

1. სკოლების საშუალებით, როგორიცაა განმეორებითი კურსები, საშუალო, უფროს და უმაღლეს [მეთაურთა ცოდნის გაუმჯობესების კურსები და სამხედრო აკადემიები. ეს საკითხი მოგვარებულია და ვისაც ძალა შესწევს ამ მიმართულებით გაღრმავოს ცოდნა, მისთვის გზა ხსნილია.

2. თვით-განვითარებით ცოდნათა გაღრმავება-გაფართოება; სხვა და სხვა საკითხების ინდივიდუალური ან კოლექტიური (სამხ. სამეცნიერო წრეებში) დამუშავებით.

ზემო აღნიშნული ცოდნის საშუალებანი აქვს 1-ლი და მე-2 კატეგორიის მეთაურებს, მე-3 კატეგორიის მეთაურებს, გარდა მისი მცირე ნაწილისა, ამის საშუალება არა აქვს. ის უმეწეო მდგომარეობაშია, ის რჩება იმ ელემენტარული ცოდნით, რომელიც მას მისცა სკოლამ და მხოლოდ ის, რუსული ენის უცოდინარობის გამო, სამხედრო ცოდნის განვითარებას ვერ მისდევს კვალ და კვალ. ხოლო ქართული სამხედრო ლიტერატურა კი ძალიან მცირეა მოთხოვნილებასთან შედარებით. ეი ამ მე-3 კატეგორიის მეთაურებზე უნდა ვიზრუნოთ და გამოვნახოთ ისეთი ღონისძიებანი, რომელიც მათ საშუალებას მისცემს აწარმოვონ თვით-განვითარება და ერთ წერტილზე არ გაიყინონ. საჭიროა შემდეგი პრაქტიკული ღონისძიებანი: 1. ამ კატეგორიის მეთაურებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ რუსული ენის ინდივიდუალურ ან კოლექტიურ შესწავლას, თუ-ნდა იმ ბირთვების საშუალებით, რომელზედაც მიგვითითებს წერილის ერთი ავტორი, ან და სხვა სახით,—ეს აუცილებლობას შედგენს; თუმცა მის შედეგებს, მოკლე ხანში ვერ მივიღებთ, მაგრამ ყოველდღიურთ მუშაობა ამ მიმართულებით აუცილებელი საჭიროა.

2. გაძლიერებული უნდა იქნას შრომის სკოლებში, ტეხნიკუმებში და სხვა ტიპის სამოქალაქო სასწავლებლებში ქ, მით უმეტეს, სამხედრო სკოლებში, რუსული ენის შესწავლა. ამ მხრივ გადადგმულია ნაბიჯები და აქაც შედეგებს მოკლე ხანში არ უნდა ველოდეთ.

3. გადიდებულ უნდა იქნას, მოთხოვნილება სამხედრო სკოლაში შესვლისთვის საერთო მომზადების მხრივ, უნდა მიიღებოდეს მხოლოდ საშუალო ცოდნით.

რაც უფრო ამხოლიუტურად აუცილებელი, მნიშვნელოვანი და საჭიროა,—გაძლიერდეს ქართულ ენაზე სამხედრო სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემა, გამოიცეს ჟურნალები, წიგნები, სახელმძღვანელოები, დაუყონებლივ ითარგმნებოდეს წითელი არმიის წესდებები და დარიგებები. ფართოდ იყოს გამოყენებული თარგმანები სხვა და სხვა ენებიდან, მას არ უნდა გაურბოდეთ, ორიგინალურ ნაწარმოებთან ერთად; ძალები ამისთვის მოიპოებიან, მხოლოდ საჭიროა მატერიალური რესურსები, რაც უნდა გამოვნახოთ, როგორც არ უნდა დაგვიჯდეს. ეი, ყველა საშუალებანი მეთაურთა ცოდნის გაღრმავებისათვის.

გ. კიკნაძე.

1. ქართულ დივიზიის ქუთაისის გარნიზონის უპარტიო წითელ არმიელთა მე-6 კონფერენცია.

6 მაისი დილის სხდომა

კონფერენცია გადადის დღის წესრიგის მე-2 საკითხზე,—„საგზოთა ადგილობრივ ორგანოების მუშაობაზე და ჩვენი მეურნეობის მდგომარეობაზე“, რომლის შესახებ მოხსენებას აკეთებს ქუთაისის აღმასკომის წარმომადგენელი ამხ. თეიმურაზ ჭუმბურიძე.

ყოველივე სახელმწიფოს მდგომარეობა, ამბობს ამხ. ჭუმბურიძე—არის დამოკიდებული მისი სამეურნეო განვითარებაზე. ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობა 1913 წელთან შედარებით კარგ დონეზე სდგას და თითქმის უთანასწორდება წინანდელ მდგომარეობას. დღეს თუ კაპიტალისტურ ქვეყნებში დროებითი სტაბილიზაცია—არის შექმნილი ამერიკის კაპიტალის წყალობით, სამაგიეროთ ჩვენ კი მტკიცეთ ვარ ეკონომიურად და ეს სიმტკიცე იწვევს უცხო სახელმწიფოების მიერ ჩვენ ცნობას. ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა ურყევია და საბჭოთა კავშირის სამეურნეო განვითარება ნორმალურ კალაპოტში სდგას და ჩქარი ტემპით მიმდინარეობს.

საქართველოს მეურნეობის მდგომარეობა

საქართველოს მიუჯერი 1924—25 წელს თუ უდრიდა 13 ნახ. მილიონ მანეთს, 1925—26 წელში კი უდრის 25 მილიონ მანეთს. საქართველო ძირითადად სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაა. აქ აგრარული წარმოება უდრის 80 პროც. და ინდუსტრიალური კი—20 პროც.-ს. გასაბჭოების შემდეგ საქართველოს გლეხობაზე გადაცემულ მიწის სივრცე უდრის 150.000 დესეტინას.

საქართველოში მიწის სიმცირის გამო მთავრობას მიღებული აქვს ზომები ამ მიწის მოსავლიანობის განოყიერებისათვის. მთავრობის მიერ იქნა გაყვანილი 6 სარწყავი არხები, რომლის სიგრძე უდრის 1114 ვერსს და რწყავს 43000 დესეტინას, აშენებული იქნა მთელი რიგი სასოფლო სამეურნეო სკოლებისა.

სასოფლო მეურნეობისათვის თავრობას დახარჯული აქვს 2100000 მანეთი და კიდევ განზრახული აქვს დამატებით გამოყოს 500000 მანეთი. ამიერამად თამბაქოს მრეწველობას ეკრავს 550000 დესეტინა მიწა, მებამბეობას 1924 წელში 50000 დესეტინა მიწა, მევენახეობას—45000.

მრეწველობაში დამზადებულ პროდუქტების ღირებულება 1923 წ. უდრიდა 4.498000 მანეთს, 1925—26 წ. კი უდრის 8.980.000 მანეთს.

ტფილისის მაღაროებიდან 1913 წელს იღებდნენ 350000 ფუთ ქვანახშირს და 1924—25 წ. კი 381.000 ფ. ჟიპოფურის ფეხი ქვა 1915—16 წ. ამოღებულია 1.600.000 ფ. 1925 წელს კი 26 მილიონი.

დიდი მიღწევები გვაქვს აგრეთვე ელექტროფიკაციის ფრონტზე, რასაც ამტკიცებს აშენება როგორც ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის, აგრეთვე მთელ რიგ სხვა ელექტრო—სადგურების აშენება.

შემდეგ ამხ. მომხსენებელი გადადის ქუთაისის აღმასკომის მუშაობაზე და მოჰყავს ის შემოსავლის წყაროები, რომლითაც სდგება აღმასკომის ბიუჯეტი.

აღმასკომის მუშაობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია აგრო-სექციას, რომელიც აწვდის მთელ მაზრას თემებში ინსტრუქტორებს — აგრონომებს აგრო-კულტურულ მუშაობისათვის.

ქალაქის აღმშენებლობითი მუშაობა გამოიხატება ქუჩების შეკეთებაში, ბაღების გაუჯობესებაში, სასწავლებლების და საბჭოთა შენობების შეკეთებაში.

დიდი მიღწევებია აგრეთვე ქუთაისის მაზრაში განათლების ფრონტზე. მთელი რიგი ტეხნიკუმებისა იქნა გახსნილი უმთავრესად 1923 წლიდან. მასწავლებლების რიცხვი მაზრაში უდრის 1260 კაცს. აგრეთვე მომხსენებელს მოჰყავს მოკლე ცნობები ჯანმრთელობის, სოციალურ უზრუნველყოფის, ქალაქის კომუნალურ მეურნეობის განყოფილებების მუშაობის შესახებ.

მოხსენების ირგვლივ მომხსენებელს მიეცა მრავალი შეკითხვა. კამაში გამოდის მე-5 ლეგიონის წითელი არმიელი ამხ. ჭყონია, რომელიც ლმობიერად აღნიშნავს ანტი-ჰიგიენურ პირობებს ქალაქში, წყლის უსუფთაობას, ელექტროენერგიის სიმცირეს განაპირა უბნებში და აღნიშნავს აგრეთვე იმას, რომ ადგილობრივი ორგანოები არ აქცევენ წითელ არმიელთა ოჯახებს უყრადღებას და არ აწვდიან დახმარებას ხეტუის სახით წითელ-არმიელთა ოჯახებს.

ამხ. ჭუმბურიძეს საბოლოო სიტყვის შემდეგ კონფერენციამ ქუთაისის ქალაქის საბჭოს მუშაობა დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა. მხოლოდ გამოითქვა სურვილი, რათა საბჭომ შემდეგში მეტი ყურადღება მიაქციოს წითელ-არმიელთა ოჯახების უზრუნველყოფის საკითხს.

მოხსენება ადგილებიდან

მე-3 ლეგიონიდან მოხსენებას აკეთებს 1903 წელში დაბადებული ამხ. წვერავა.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ახალწვეულთა არ ქონდათ ვრცელი წარმოდგენა წითელ ჯარზე და ყაზარმულ ცხოვრებაზე წითელ ლაშქარში გამოწვევამდე, ვიდრე მათ აქვთ ეხლა.

სამხედრო დისციპლინას ახალწვეულნი ვერ გეგუებოდნენ პირველ ხანებში, ვინაიდან არ იცნობდენ ყაზარმულ ცხოვრების თავისებურებას.

პოლიტკულტურული მუშაობა ნაწილში კარგ ნიადაგზე სდგას, მხოლოდ მათ ხელს უშლის ქართული სახელმძღვანელოების უქონლობა.

მუშაობა ლენკუთხეებში სხვა და სხვა საუბრების და ჟურნალგაზეთების ხმა მაღალი კითხვის სახით სწარმოებს სისტემატიურად და ამ მუშაობაში ჩაბმულია წითელ არმიელთა სრული 100 პროც.

სკოლის გარეშე მუშაობა სათანადო დროს უქონლობის და აგრეთვე ქართულ ლიტერატურის უქონლობის გამო მოიკუჭლებს.

წითელ არმიელთა აბსოლიტიური უმრავლესობა სისტემატიურათ ესწრება კომუჯარედის ლიკერებს.

თანამომხსენებელი მესამე ლეგიონიდან 1902 წელში დაბადებული წ. ა. ამხ. სიმონაიშვილი.

ახალწვეულ წ. ა. პოლიტკულტურული დონე მეტათ დაბალი იდგა; ამას იწვევდა ის მოვლენა, რომ ახალწვეულთა 80 პროც. კულტურულათ ჩამორჩენილი იყვნენ, მაგრამ მათი პოლიტ-კულტურული დარგში აქტიურათ ჩაბმით 1902 წელში დაბადებულთა დონე პოლიტიკურ დარგში თანდათან აიწია.

პოლიტიკური მუშაობის ნორმალურ მსვლელობას ხელს უშლის ქართული ლიტერატურის სიმცირე, მაგრამ მიუხედავათ აღნიშნულ ნაკლისა მუშაობა ამ დარგში დამაკმაყოფილებელია. პოლიტ-მეცადინეობას წ. ა. ესწრება სისტემატიურათ და ენერგიულათ ეკიდება ყოველგვარი საკითხების გარჩევას.

სასკოლო მუშაობას მე-3-ე ლეგიონში ხელმძღვანელობენ სათანადოთ მომზადებული მასწავლებლები.

წერკუმი აერთიანებს 140 წ. ა., მათ შორის 80 პროც. გატარებულია წ. კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაში, მაგრამ ამ დარგში ხელისშემშლელი მიზეზებათ უნდა ჩაითვალოს სამოსწავლო ნივთების სიმცირე.

სკოლის გარეშე მუშაობაში ჩაბმულია მრავალი უპარტიო წ. არმიელი. კლუბთან არსებობს ყოველგვარი წრეები, მაგრამ ამ წრეების ნორმალურ მუშაობას ხელს უშლის სათანადო ხელმძღვანელების და სახელმძღვანელოების სიმცირე.

თვითმომქმედი ორგანიზაციები, როგორიც არის ავიაქიმი, რეგედასი, ქიმმეგობარი და სხვა ყველა ასეულებში ჩამოყალიბებულია, სადაც სწარმოებს სისტემატიური საუბრები და მუშაობის გასაკეთებლად ლეგ. მასშტაბით იწვევა სხდომები თვეში ორჯერ.

ლეგიონში არის 6 საკავშირო პარტსკოლა, რომელიც ამეცადინებს 170 კაცს, მათ შორის 20 პროც. უპარტიო წითელ არმიელებია, რომლებიც სისტემატიურათ ესწრებიან მეცადინეობას.

ინდივიდუალურათ მომზადება ჩამორჩენილ წითელ არმიელების სწარმოებს შემდეგი სახით:

კომკავშირი და კომუჯარედი ყოველ მომზადებულ ამხანაგებს ჩამორჩენილ ამხანაგების მოსამზადებლად, და აგრეთვე უპარტიო აქტიური წ. ა. მიმაგრებულნი არიან სუსტ ამხანაგებზე და ამ დარგში მუშაობას აქვს თვალსაჩინო ნაყოფი.

უპარტიო წით, არმიელები სისტემატიურად ესწრებიან კომკავშირის და კომუჯარედის ღია კრებებს და მონაწილეობას ღებულობენ ყოველგვარ საკითხების განხილვაში.

უპარტიო წ. არმ. ლტოლვა პარტიის რიგებში ძლიერია.

სამხედრო მეცადინეობა და განსაკუთრებით ბრძოლის საქმე კარგ დონეზეა დაყენებული, რაც დადგენახა ჩვენ შეჯიბრებამ სროლაში.

ლეგიონში ასრესობს სპორტწრეები, რომლებსაც აქვს დიდი მიღწევები.

6 მაისი ხალამის სხდომა. მოხსენება ადგილებიდან „გრძელდება. მესანგრე ასეულიდან მოხსენებას აკეთებს 1902 წ. დ. წ. არმ. ამხ. ფუროეელაძე.

მესანგრე ასეულის 1902 წელში დაბადებულ წითელ მოლაშქრეებს, როგორც უმრავლესობა საშუალო განათლება მიღებულთ, წარმოდგენა წითელ ჯარზე, საბჭოთა ხელისუფლების სტრუქტურაზე და მის საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე ქონდათ სხვა ნაწილებთან შედარებით უფრო ნათელი, მაგრამ ამჟამათ უფრო დეტალურათ ვართ გარკვეული ყოველგვარ რთულ საკითხებში.

ყაზარმულ ცხოვრებამ, სამხედრო დისციპლინამ, ჩვენში მოახდინა გარდატეხა, ჩვენ გადაგვიდით ცხოვრების ახალ პირობებში, რომელსაც წინათ ადვილად ვერ ვეჩვევოდით, და ეს იწვევდა ჩვენ ნაწილში პირველ ხანებში დისციპლინის დარღვევას.

სამხედრო მეცადინეობა საზამთრო პერიოდში მიმდინარეობდა ნორმალურ კალაპოტში.

მიმდინარე გამოცდებმა გამოარკვია, რომ ჩვენი ნაწილის სამხედრო თეორეტიული ცოდნა დამაკმაყოფილებელია.

პოლიტ-მუშაობას ხელმძღვანელობენ გამოწვრთნილნი მასწავლებლები და ამ დარგში მუშაობა დამაკმაყოფილებელია. ამ მეცადინეობაზე ამხანაგების დასწრება და აქტივობა თვალსაჩინოთ სდგას. მხოლოდ ვინაიდან ჩვენს ასეულში ამხანაგების უმრავლესობა არიან საშუალო განათლებით, ამიტომათ ვერ აკმაყოფილებს ორ წლიანი კრებული.

წერა-კითხვის უცოდინარი ჩვენს ნაწილში იყო 5 პროც., რასაც თავის დროზე მიეცა ყურადღება და მას ლიკვიდაცია ექმნა.

კომკავშირის და კომუჯარედის ღია კრებებზე დასწრება უპ. წითელარმიელების სისტემატიური და აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ყოველგვარ საპრბოროტო საკითხების გადაჭრაში.

ლტოლვა პარტიისაკენ დამაკმაყოფილებელია. სკოლის გარეშე მუშაობა გამოიხატება შემდეგ ფორმებში: ჩვენ ასეულში არის 4 წრე: ლიტწრე, დრამწრე, სამხკორთა წრე და ამიერკავკასიის შემსწავლელი წრე.

მათი მუშაობა დამაკმაყოფილებლათ უნდა ჩაითვალოს.

ასეულში თვეში ორჯერ გამოდის კედლის გაზეთი „წითელი მხედარი“, რომლებშიდაც წერილებს ათავსებენ წითელ-არმიელები ჩვენი ცხოვრებიდან.

ფიზიკულტურის წრეებს აქვს მიღწევები, რაც დამტკიცდა გარნიზონის მასშტაბში ჩატარებულ შეჯიბრებაში.

რემედასის წრე არსებობს 1924 წლიდან. ის აერთიანებს 84 კაცს. სხდომები ხდება თვეში ორჯერ.

ჩვენს ასეულში არსებობს სამხედრო-სამეცნიერო წრე, რომელშიაც ირიცხება 24 კაცი, მათში 9 აქტიური და დიდი ნაწილი უმცროს მეთაურებისა.

საკავშირო და სამნეო დამხმარე კომისია ჩვენს ნაწილში არ არსებობს.

ურთიერთ დამოკიდებულება მეთაურების და ჩვენ წითელარმიელებს შორის ძმურია.

თანამომხსენებელი მესანგრე ასეულიდან 1903 წელში დაბადებულ წ/ლ. ამხ. ენუქიძე.

წარმოდგენა წითელ ჯარზე, საბჭოთა ხელისუფლების სხვა და სხვა პოლიტიკაზე ჩვენ არ გვქონდა ისე ნათელი, როგორც 1902 წელში დამადებულებს და დღეს კი ყოველმხრივათ გარკვეული ვართ ყოველ გვარ საკითხებში.

განწყობილება უპარტიო და პარტიულ წითელარმიელთა შორის ძლიერ კარგია.

სალამოს სხდომა.

ცალკე საკავშირო ასეულიდან მოხსენებას აკეთებს წითელარმიელი ამხ. **ჯუნჯულია.**

ვიდრე სამხედრო სამსახურში გამოვიდოდი, ის წარმოდგენა, საბჭოთა ხელისუფლების მუშაობაზე, რომელსაც გავერკვევ წითელ ჯარში ყოფნის დროს, არ მქონდა. წითელი ჯარი ეს სულ სხვა სახით წარმოდგენილი მქონდა, არ მეგონა, თუ წითელ ყაზარმაში ყოფნისას, გარდა სამხედრო სამსახურისა თუ დებულობდა კლასიკურ ცოდნას წითელ-არმიელი. მაგრამ ამ ჟამათ კი სავსებით გარკვეული ვარ ამ საკითხშია,—აღნიშნავს მომხსენებელი.

დღეს ჩვენმა სწავლამ წითელ ყაზარმაში დაგვიმტკიცა, რომ წითელი ყაზარმა ეს არის სკოლა მეცნიერებაზე აგებული, ამისათვის საჭიროა, რომ თვითეულმა მოვკიდოთ ხელი პოლიტიკურ, კულტურულ მეცადინეობას, რაიც მიგვიყვანს სრულ გამაჯანსაღებამდე.

ახალგაზრდა ლენინელ კომკავშირის ორგანიზაცია ჩვენს ნაწილებში დიდ როლს თამაშობს, იქ ჩვენ ვერკვევით მის მუშაობაში და ჩვენს საპირბოროტო საკითხებს ვწყვეტთ.

ჩვენს ნაწილს შეფათ ყავს აყვანილი ოფიცრეთის თემი, სადაც ვდგამთ წარმოდგენებს და სხვა, ვჰზვენით სხვა და სხვა წიგნებს. საპიროა უფრო მეტი კავშირი სოფელთან, რათა ლოფლის მეცხოვრენი მიიღებენ მონაწილეობას გასამხედროების საქმეში.

საკავშირო ასეულიდან თანამომხსენებელი წითელარმიელი ამხ. **ქართველიშვილი.**

ჩვენთან არსებობს პოლიტ-და ლიტ-წრე, რომელიც იზიდავს უპარტიო წითელარმიელებს. არ არის ისეთი წითელ-არმიელი, რომ რომელიმე წრეში არ მუშაობდეს. სამხედრო მეცადინეობა წარმოებს როგორიცაა ტაქტიკა ავიოქიმია და სხვა, მხოლოდ ავიაქიმის შესწავლა მოისუსტებს. წერკუმში სრულიად არ არის, ვინაიდან ჩვენი ნაწილის 80% საშუალო განათლებით არიან აღჭურვილნი. საერთოდ მეცადინეობა აკმაყოფილებს წით.-არმიელებს.

რ.

ლენ კუთხის მუშაობა

1 დივიზიის საარტ. ლეგიონი

ლენ-კუთხეში სხვა და სხვა გვარი მეცადინეობის წარმოება ითვლება დასაწყის მუშაობათ, რომელიც შემდეგ ლეგ-მაშტაბით უფრო უნდა გადრმავდეს და გაფართოვდეს. ლენ-კუთხე, როგორც კლუბის დაწყებითი უჯრედი ჩვენს ნაწილში ემსახურება თავის დანიშნულებას უყრის თავს ყოველგვარ სკოლის გარეშე მუშაობას ბატარეის ფარგლებში. ბირთვები ლენ-კუთხეში საკმაოდ ჩამოყალიბებულად ითვლება. აქვთ სამუშაო გეგმები და სხვა და სხვაგვარი მეცადინეობა, რომელიც ბირთვების შეთანხმებით სწარმოებს. წითელ არმიელთა ფართო მასა მიზიდულია ლენ-კუთხის ირგვლივ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ შესაფერისად ვერ არის გამოყენებული და მათი აქტივის გარდა, სხვები ნაკლებ მონაწილეობას ღებულობენ მუშაობაში. უმთავრესად ლენ-კუთხეში ტარდება საუბრები, ხმამაღალი კითხვა და სხვა და სხვა გასართობს ნაკლები ყურადღება ექცევა. ერთ ერთმა ბატარეამ მოაწყო კომბინიური საღამო რამაც ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა წ. არმიელებზე და საპირო სხვა ბატარეებმაც მოაწყოს დრო შერჩევით ისეთი საღამოები ლენ-კუთხეში, რომელიც გაამხიარულებს წ. არმიელს, გაახალისებს მას მოკმედებას და ხელს შეუწყობს მის აქტიურობის გამოჩენის საქმეს. ჩვენს ლენ-კუთხეებს ზამთრის პერიოდში უდიდესი მიღწევები აქვს, მაგრამ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ლენ-კუთხის მუშაობაში ნაკლება მონაწილეობა სჩანს მეთაურთა შემადგენლობის.

მეთაურების მიერ მონაწილეობა ლენ-კუთხის მუშაობაში აუცილებლათ საპირო.

საპირია მეთაურებმა გაუწიონ წ. არმიელთა მოთხოვნილებებს ანგარიში და ლენ-კუთხის მუშაობაში მიიღონ მეტი აქტიური მონაწილეობა.

ტ. მამალაძე.

მოვიდოგით დაზგავ!

(ნაწყვეტები)

...და, რა გამოეწყო დანიშნულ ადგილზე გამოსაცხადებლად, ერთხელ კიდევ გადახედა ავადმყოფ დედას, გადაეხვია, გადაჰკოცნა...

— რაა, დედა, სტირი? ნუ თუ არ გიხარია, რომ ასე სიხარულით მივალ ჩემი მოვალეობის მოსახდელად?

გაკვირვებით შეეკითხა ლადო, როცა ლოყაზე დედის ცხელი ცრემლები იგრძნო.

— ო, საყვარელო შვილო, შენ გენაცვალე...

— დედა!

— ეს ცრემლები სიყვარულისაა, შვილო, მე მიხარია, რომ აგრე ხალისიანად მიდიხარ წითელ ყაზარმაში...

და, უკანასკნელად კიდევ ჩაიკრა გულში, სუსტი მკლავები მაგრა შემოჰხვია; გული ჩქარის ცემით ადი-ჩადიოდა...

— არ შემარცხენინო შვილო, ვინძლო ჩემი შენდამი სიყვარული არ შებღალო; იყავი პატიოსანი წითელარმიელი.

— ვფიცავ, დედა, რომ მაღლა ვატარებ ჩვენ საყვარელ სისხლისფერ დროშას...

ალტაცებით წამოიძახა, და...

გარეთ გამოსულს ესმოდა დედის ლოცვა:

— ჰალალი იყოს, შვილო ჩემო, ეს ძუძუ შენზე...

ლადო ალფრთოვანებით დაეშვა მთავარ ქუჩისაკენ და გასწია დანიშნულ ადგილზე...

გაზაფხულის მზით ავარაყებული ქალაქი ხმაურობდა, ქუჩები ინძრეოდა ხალხის მიმოსვლით; ტრამვაი მიჰქროდა „9“-ზე; მოგუგუნე ავტომობილს აჩერებდა მილიციელი წითელი ჯოხით; წუხელის უძილო მეეტლე სთვლემდა კოფოზე მუშტრის ლოდინში და გამხდარი ცხენები უიმედოდ ელოდენ შოლტს...

გზაჯვარედინი...

ლადო შეჩერდა...

მისი თვალები მიეწყინენ ქუჩის მოსახვევში საზეინკლო სახელოსნოს, სადაც ის მუშაობდა, რომელიც გუშინ მიატოვა ჯარში წასვლის გამო, და გზის აუქცია, გულმა იქით გასწია, რომ ერთხელ კიდევ გადაეხედა იმ დაზგისთვის, რომელზედაც შეისწავლა ხელობა, რომელიც უყვარდა სიყმიდანვე და ურომლისოდაც დარდობდა...

შეეიდა...

— ო, ლადო?

შემოეხვიენ აქეთ-იქიდან, ამხანაგები, დაუწყეს გამოკითხვა თუ რომელ ნაწილში განაწესეს და სხვა, მაგრამ ლადომ თითქოს ვერ გიგო, შეჰხედა, მიესალმა ყველას; გადახედა ქურას, სადაც საბერველი ცეცხლს აღვივებდა და გაწითლებული რკინა მარწუხით ეჭირა მის ამხანაგს; აჰა, გრდემლზე უკვე ათამაშდა ჩაქუჩი, რომელსაც ხმა უწყობდა ურო; ქანდაკდებოდა ნამგალი; ნაპერწკლები ცვიოდა ირგვლივ ხუთქიმი ვარსკვლავის სახით...

გადახედა თავის შეჩვეულ ხელსაწყო იარაღებს დაზგაზე, რომელსაც სხვა ხმარობდა ეხლა და გული კინალამ აუტირდა:

— ვაი თუ ჩემს დაბრუნებამდის ვერ გაუფრთხილდეს თვალის ჩინივით, როგორც მეო...

გაიფიქრა, უხმოდ, ჩაქუჩი ხელში აათამაშა და შეხედა მომუშავეს...

იგი შეჩერდა, თითქოს იგრძნო ლადოს სურვილი, გაუღიმა, ძარღვიანი ხელი გაუწოდა...

— ნუ გეშინიან ლადო, როგორც ჩამაბარე, ისევე დგეხვედრეგ.

გაეხარდა, მადლობა გადაუხადა...

რა კარებში გადიოდა, ერთხელ კიდევ გადახედა ოფლში გაწურულ ამხანაგებს, გამოეშვიდობა და:

—შვიდობით, დაზგავ, დროებით, ვიდრე კვლავ დაგიბრუნდებოდე.

მოსწყდა მის ტუჩებს...

მიდიოდა ახალი გზით, რათა თავის ხელობასთან ერთად შეეისწავლა მტერთა მგმირ იარაღის მოხმარება, მშრომელთა მეუფების დაცვად...

ს. ერ—ლი.

სამხედრო ქრონიკა

მორიგი გამოწვევისათვის

12 მაისიდან 15 მაისამდე მოხდება წინასწარი მოსამზადებელი გამოწვევა 1903 წელში დაბადებულ ახალგაზრდების, რომელნიც მიწერილნი არიან მე-2 ქართულ მსროლელ დივიზიის ერთეულებზე.

აღნიშნული ახალგაზრდები უნდა გამოცხადდენ თავიანთ ერთეულებში.

გაწვევის ვადა ორთვე ნახევარია.

აგრეთვე უნდა გამოცხადდენ ერთი თვის ვადით 1902 წელში დაბადებულნი ცვლილებად შემადგენლობის წითელ არმიელნი, რომლებიც მიწერილნი არიან მსროლელ ლეგიონებზე და რომლებსაც სამხედრო მომზადება სრულიად არ გაუვლიათ.

რადიო-მოყვარულობის შენახვებ წითელ არმიაში

მუშურ-გლეხური წითელი არმიის პოლიტსამმართველომ წინადადება მისცა ყველა ორგანოებს იხელმძღვანელონ წითელ არმიაში რადიო მოყვარულთა საზოგადოების 1-ლი საკავშირო ყრილობის მასალებით.

პოლიტსამმართველომ წინადადება მისცა ორგანოებს ახლო მომავალში დაათავონ რადიო მოყვარულთა წრეების ჩამოყალიბება იქ, სადაც აქამდე არ არსებობდა ასეთები. შეიქნეს საგუბერნიო და საოლქო რადიო მოყვარულთა საზოგადოებებთან სამხედრო სექციები, რომლებიც იმუშავებენ განსაკუთრებული დებულების მიხედვით.

ნება ეძლევათ ნაწილებს შეიძინონ საჭირო მასალები რადიო მოყვარულთა წრეებისთვის, პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობისთვის გაცემულ თანხებიდან.

ამხ. ამხ. წითელარმიელებო გამოიწერეთ, და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი

„წითელი არმიელი“

ჩვენც მალე გავალთ განაკში

ორი კვირა არის რაც უნცროსი კურსის კურსანტები დაბრუნდენ შვებულებიდან. იქ ყოფნის დროს მათ მხურვალე მონაწილეობა მიეღოთ სოფლად მუშაობაში, რასაც სიამოვნებით უზიარებენ ამ ეამთა სკოლაში დარჩენილ ამხანაგებს. მალე ჩვენი სკოლა გავა ბანაკში. მზადება სწარმოეს კურსანტების შორის; ზოგი ამზადებს სამოსწავლო ნივთებს, ზოგიც ისეთ ლიტერატურას, რომლითაც მათ მოუხდებათ მუშაობა სოფლად.

ზამთრის განმავლობაში ბევრი რამ შეეისწავლეთ, რაც პრაქტიკულად უნდა გამოვიყენოთ ამ ზაფხულის განმავლობაში. სამი თვით ვსტოვებთ წით. სკოლას და მივდიერთ ისეთ ალაგას სადაც, პრაქტიკულად ბევრ ახალს რამეებს შეეიძენთ. ეს გარემოება მეტად ახარებს კურსანტებს.

ჩვენ ვინახულებთ ჩვენ მიერ შეფათ აყვანილ დიდი თონეთს და სხვა სოფლებს რომლებსაც სიხარულით გაუწევთ ყოველგვარ დახმარებას, ხელს შეუწყობთ მათ გასამხედროებას.

მიშა ცქიფურიშვილი.

მოვახდინეთ უცოდინარეობის ლიკვიდაცია

(4-ე ლეგ. ხ.ოლა)

სკოლის დაარსების პირველ დღიდანვე კომუჯრედი ანგარიშს უწევს წერა კითხვის უცოდინარ კურსანტებს და აყავდა ისინი აღრიცხვაზე. საერთოდ სკოლაში მთელი კურსანტთა შემადგენლობის 40 პროც. წ. კითხვის უცოდინარი იყო. ამისათვის კომუჯრედმა ბიურო-კოლექტივის მითითებით ყოველი ღონისძიება იხმარა და გარდა მასწავლებლისა, უცოდინარეები მიამაგრა მცოდნე ამხანაგებზე. სასწავლო ნივთები შეძენილი იყო თავის დროზე. დაწყებული 1-ლ დეკემბრიდან დღემდე (ე. ი. 1-ლ მაისამდის) მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობდა.

ამჟამად არა გვყავს არც ერთი წერა კითხვის უცოდინარი. საგამოცდო კომისიამ ფრიად დამაკმაყოფილებლად სცნო კურსანტებთან მეცადინეობის შედეგი და ზოგიერთი ამხანაგები ჯილდოზეც კი წარადგინეს.

დღეს ჩვენი კურსანტები თამამად სწერენ წერილებს და ანგარიშში ოთხი მოქმედებაც კარგად იციან.

ჯულაყიძე.

წითელ არმიის და ფლოტის გაღ

მაისის შუა რიცხვებში წითელ არმიის და ფლოტის სახლს გადააქვს თავისი მუშაობა საზაფხულო სადგომში. ბაღი შედარებით წარსულ წელთან გაფართოებულია კინოს-საჩვენებელი არე დაიტევს 1.200-მდე მაყურებელს. თეატრიც შეკეთებულია, მისი სივრცე განსაზღვრულია 800 ადგილით.

ბაღში მუშაობას აწარმოებენ: ლენინის ოთახი, პოლიტ-განათლების მუშაობის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, სამკითხველო, ამიერ კავკასიის ოთახი, საკადრაკო, ბილიარდი, სახელდრო კაბინეტები, ფსიქო-ფიზიკური კაბინეტები, ცნობათა ბიურო, სანიტარული კაბინეტი, წრეები: ფიზკულტურის, დრამატიული, მუსიკალური, უცხო ენების და მომდერალთა.

საზაფხულო პერიოდში ჩვენთან იმუშავებს შემდეგი დრამ. ორგანიზაციები:

1) რუსულ დრამის კოლექტივი, 2) „ცოცხალ გაზეთის“ კოლექტივი, 3) უკრაინული კოლექტივი. ქართულ და სომხურ კოლექტივებთან ჯერ მოლაპარაკება არ დამთავრებულა.

ბაღში იქნება აგრეთვე დადგმული სახელდრო ნაწილების ძალებითაც წარმოდგენები, განსაკუთრებით ჩითრეული იქნებიან დრამატიულ მუშაობაში. გარნიზონის ქართული ნაწილები.

ქართულ სექციის გამგე

დ. ჭანტურიშვილი.

ვის აქვს საწინააღმდეგო?

ქართულ სამხ. პოლიტ-სკოლის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

1) ურუშაძე მაქსიმე სილიმისტროსძეს, 2) კობახიძე გრიგორი ნესტორისძეს, 3) მაღალაშვილი იოსებ აბრამისძეს, 4) ოსიპაშვილი აბესალო ალექსისძეს, 5) ბუდოვი ნიკოლოზ იაკობისძეს, 6) ჯაკუშაძე ირაკლი მაქსიმესძეს და 7) ესებუა სპირიდონ ალექსანდრეს.

თხოულობენ გადარიცხვას კანდიდატობიდან პარტიის წევრობაზე.

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ, გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში.

უჯრედის მდივანი ა. ცხადაძე.

ყაზარმის სურათები.

კარგათ არც კი გათენებულიყოს; უეცრივ გაისმა ბუკი და გამოადგა № ლეგიონის მიძინებული ყაზარმა. აგერ-ეგერ გამოჩნდენ ეზოში ჯერ კიდევ თვალებ დაბეჟუებული წითელ არმიელები. მიემართებიან ხელპირის დასაბანად... რამოდენიმე წუთი კიდევ და ეზო გაივსო ამხანაგებით. გაჩნდა რიგი პირისაბანთან... ენერწყლიანმა ბიჭებმა მოუხშირეს ობუნჯობას... წყალსაც ასხამენ ერთმანეთს...

აგერ, ერთმა იუკადრისა წყლის მისხმა და გამოუდგა მოუსვენარ წითელ არმიელს.

„არ გაუშვა, ჰკა მაგას, არ გაუშვა“. დასძახეს სხვებმა და დააყარეს სიცილი. წყალმისხმული ამხანაგი კი უფრო გაბრაზდა, როდესაც მოუსვენარმა უგვერდა მას და ყირაზე გადაიყვანა.

„აი ახლა კი სრულიად გამოფხიზლდები. შე ვერანავ, მაშ რას დაგიბეუტია თვალები, ცოცხალი ხარ, ხომ არ მომკვდარხარ ჯერო-“მიაძახა მოუსვენარმა და მკვირცხლად შეუერთდა პირსაბანთან თავმოყრილ წითელ-არმიელებს. სიცილი უფრო გაძლიერდა. მოუსვენარი (ასე ეძახდენ მას ყაზარმაში) მივიდა გაჯავრებულ წითელ არმიელთან, ბეჭზე ხელი დაჰკრა და შესძახა: „ახლა კი მართლა გამოვფიზხლდეთ ჩემო სოსო“. წუთის შემდეგ ორივე გაცხარებით ისხამდენ წყალს პირზე.

ლამაზად ჩამწკრივებული მოსჩანან წითელ არმიელები წყობილებაში. გამაცოცხლებელი ღილის სეირნობა, საუზმე და დაუსრულებელი ობუნჯობა...

ბუკის ხმამ კვლავ მიიწვია ამხანაგები პოლიტსაათებისაკენ ფანქრებით, რვეულებით და სხვა სამოსწავლო ნივთებით ხელში, აჩქარებული ნაბიჯით გაეშურენ წითელ არმიელები სამეცადინო ოთახებისაკენ.

სახე მომდიმარი პოლიტხელი უკვე შეუდგა საუბრის ჩატარებას. წითელ არმიელები გულმოდგინეთ უსმენენ. იწერენ შეკითხვებს, გაუგებარ სიტყვებს და სხვა.

— ამხანაგებო, ვისი გაქვთ შეკითხვები“—გამოაცხადა პოლიტხელმა.

— მე მაქვს ამხანაგო პოლიტხელო“— „მეც“, „მეც“, „მეც“ წამოიძახა უკანა რიგებიდან მოუსვენარმა.

— ამხანაგო პოლიტხელო, არიან თუ არა ეკონომიურად უფრო ძლიერი ჩვენს რესპუბლიკაზე?

ატარებენ თუ არა მათ ჯარებში პოლიტმეცადინეობას?

რად აყვთ უმთავრესად მათ დაქირავებული ჯარი?

იძლევიან ამხანაგები შეკითხვებს.

პასუხი დამაკმაყოფილებელი მიიღეს. ყველა კმაყოფილი დარჩა პოლიტსაათით,

რამოდენიმე წუთი შესვენება... წითელ არმიელები უკვე სამხედრო მეცადინეობაში არიან გართული. თოფები, ანტენირები, ტყვიამფრქვევები და სხვა იარაღები იშლება, იწყობა, იწმინდება წითელ არმიელებისაგან. ყველანი გულდასმით უგდებენ ყურს მეთაურების საუბრებს.

მოატანა შუადღემაც. დაიწყო შესვენების საათები. ყაზარმა თვალის დახამხამებაში გაივსო წითელ არმიელებით, მაგრამ მოსვენებისათვის მაინც არ სცალიათ. სწმენდენ დასვრილ საპურველს, შემდეგ მიეშურებიან ლენკუთხეში. იმართება ახალი გაზეთების ხმამაღალი კითხვა. ეცნობიან მსოფლიო ამბებს. აქაც თითეული გაუგებარი მოვლენა და სიტყვები დაწერილებით შუქდება თავისი მიზეზებათ.

მოატანა სადილის დრომაც. რიგში ჩამწკრივებული წითელ არმიელები ითვლიან პირველ მეორეზე, სწორდებიან და მიეშურებიან სასადილოსაკენ, სადაც მათ მოელით ნოყიერი სადილი. სასადილოში იშვიათი სისუფთავე, სიწყნარე და წესრიგია. ეტყობათ წითელ არმიელებს საკმაოდ აქვთ შეთვისებული დისციპლინა. შემდეგ დასვენება და ისევ მეცადინეობა. 4 საათისათვის ისევ დასვენება. ეხლა კი ქიდაობით, სიმღერით და ჭიორობით ერთობიან ისინი ეზოში. ყაზარმის ეზო ამ დროს მეტად მხიარულად გამოიყურება. ზოგიერთები აქაც არ ეშვებიან პოლიტიკურ საკითხებს. იმართება დავა სხვა და სხვა საკითხების გარშემო. ზოგიერთები საუბრობენ სოფლის ეპირ ვარამზე. ლაპარაკობენ ტრაქტორებზე, როგორი სარგებლობის მოტანა შეუძლია მათ ჩვენთვის და მრავალი სხვა. აქ ყურს მოჰკრავთ აგრეთვე საუბარს იმის შესახებ, თუ როგორ გეგმებს აწყობენ წითელ არმიელები სოფელში დაბრუნების შემდეგ კოოპერაციის შმოწყობისათვის.

შუადღის შესვენება ამაკრავებს ჩვენი მეომრების ზრახვებს, მათ მომზადების და სხვა და სხვა საქმეებით დაინტერესებას.

საღამო კი ისევ მეცადინეობაში მიმდინარეობს. ლენკუთხეები, ბირთვები, უჯრედები ლაპარაკობენ ამ საქმეებზე. ყველგან მიმდინარეობს წითელ არმიელების გასათვითცნობიერებლად მუშაობა.

სწერენ წერილებს მშობლებთან.

ამნაირად, მთელი დღის განმავლობაში ყაზარმა ბობოქრობს, შეუჩერებლად მუშაობს მეცადინეობის და ამზადებს ახალგაზრდობას უკეთესი მომავლისათვის.

წითელი ყაზარმა სკოლაა ამიტომ უყვარს ის ჩვენს წითელ არმიელებს.

წ. არმ. გ—ლი.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეკლოფელის ქ. № 3. დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ადამაძე.